ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3917273

ნომერი: AR1590739

თარიღი : 04.04.2018

გაცემის თარიღი : 17.04.2018

გაცნობის თარიღი : 17.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- საჩუქარი პროექტები
- შერჩეული პროექტის მშენებლობის ნებართვა გაპის არსებობის შემთხვევაში

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს #AR1590739

ელექტრონული განცხადებით მომართა მოქ. ვასილ ცომაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში სოფელ ქვემო ლისში, სექტორი - ლისი, შპს „ჰელიქსის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #72.16.18.827), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 23 მაისის #01/1115 ბრძანებით შეთანხმებული ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამავე მიწის ნაკვეთზე გაცემულია #AR1486883 განცხადებაზე 2017 წლის 27 მარტის #3152684 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საკითხის განხილვის შედეგად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

II კლასი (შენობა რისკის დაბალი ფაქტორით)

მიწის ნაკვეთის ფართი	– 600.00 კვ.მ.
მოშენების ფართი	– 370 კვ.მ.
მათ შორის:	
– საცხოვრებელი სახლის მოშენების ფართი	– 242.8 კვ.მ.
– საზაფხულო ტერასის მოშენების ფართი	– 127.2 კვ.მ.
საერთო ფართი:	
– საცხოვრბელი ფართი:	– 230.88 კვ.მ
– დამხმარე ფართი:	– 90.34 კვ.მ.
– საზაფხულო ფართი:	– 134.20 კვ.მ
სამშენებლო მოცულობა:	– 1276 მ3

1. გაიცეს ქ. თბილისში, სექტორი – ლისი, სოფელი ქვემო ლისი, შპს “ჰელიქსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #72.16.18.827), ორი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის 2011 წლის 23 მაისის #01/1115 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 18 აპრილიდან 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
3. მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია:
- მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
- საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის კვლევა კლასიდან გამომდინარე;
- ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით;
- კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.
- შენობის ტერიტორიაზე მიბმა (გენ.გეგმა მ 1:500);
- ტოპოგრაფიული გეგმა მ 1:500 კომუნიკაციების დატანით. ტერიტორიაზე კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში დაცული იქნეს საპროექტო ობიექტის განთავსების ნორმები, ხოლო მათი გადატანის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან ან მფლობელებთან.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ თუ მოხდება სამსახურის მიერ 2011 წლის 23 მაისის #01/1115 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანა, გარდა პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მორგებისა და შიდა დაგეგმარების ცვლილებისა, ასეთ შემთხვევაში საჭიროა კორექტირებული პროექტის შეთანხმება და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემა.
5. განემარტოს დამკვეთს, რომ მშენებლობის განხორციელების პერიოდში ობიექტის კომუნიკაციებთან უზრუნველყოფა შეათანხმოს: შპს ,,ყაზტრანსგაზ – თბილისი“-თან, სს ,,თელასი“-თან და შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-თან.
6. განემარტოს დამკვეთს, რომ სამსახურის მიერ 2011 წლის 23 მაისის #01/1115 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი შეუძლია მიიღოს (ჩამოტვირთოს) სამსახურის ვებ.გვერდიდან - www.tas.ge.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებლ

პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი» საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ცხელ ხაზს - ტელ: 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. №7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე №4.